

სამცხის ეკლესია XV-XVI საუკუნეებში

თამთა ჯიქია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,
ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყოიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის თამთა ჯიქიას

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ჯიქია

2016

აბსტრაქტი

ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს წრმოადგენდა. როგორც ვიცით, საეკლესიო ერთიანობამ წინ უსწრო ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას. ეკლესია ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის ქვაკუთხედს, ეროვნული თვითშეგნების სიმბოლოს და რელიგიურ ფასეულობებს. თუმცა საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც საეკლესიო ერთიანობის დაშლის საკითხი დადგა.

ჩვენი განსაილველი საკითხი არის სამცხის ეკლესიის განდგომა XV-XVI საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ნაკლებად არის შესწავლილი. მის შესახებ ცნობები არც თუ ისე ბევრია. მიუხედავად ამისა, საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მოითხოვს შემდგომ კვლევას. სწორედ ეს იყო ამ თემის მიმართ ჩემი დაინტერესების მიზეზი, რადგან სარწმუნოება ჩვენი ეროვნული იდენტურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია, სარწმუნოების ერთობის დაშლა სავალალო შედეგებს მოუტანდა ქართველებს.

კვლევის ამოცანაა დავინახოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იყო თუ არა საეკლესიო ერთობის დაშლის მცდელობა საწინდარი ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის. აუცილებელია ასევე შეფასდეს კონკრეტულ პიროვნებათა ქმედება თუ რა როლი ითამაშეს ამ ფაქტის დროს, როგორი იყო მათი სახელმწიფოებრივი ხედვა და პრინციპები.

ჩემი აზრით, კათალიკოსების შეუპოვარ ბრძოლას, როგორც იმ ეპოქის ისე XXI საუკუნეში მცხოვრები ადამიანი დადებითად შეაფასებს. ის, რომ ასეთმა მცირე ერმა დღემდე მოიტანა თავისი კულტურა, თვითშეგნება ამის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სარწმუნოებრივი ერთიანობაა. ვფიქრობ, რომ ყვარყვარა და მზექაბუკი იყვნენ პიროვნებები, რომელნიც დაბრმავებულნი იყვნენ განდიდების სურვილით და თავის ვიწრო სახელმწიფოებრივ თვითშეგნებით ვერ აცნობიერებდნენ თავიანთი პოლიტიკის დამღუპველობას არა მარტო მესხეთის, არამედ მთელი ქვეყნის მაშტაბით, რასაც საგარეო ფაქტორი იწყობდა ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამცხე-საათაბაგო, ქართული ეკლესიის ერთიანობა, იშხნელი და ანჩელი ეპისკოპოსები, ყვარყვარე ათაბაგი, მზეჭაბუკ ათაბაგი, საქართველოს დედა-ეკლესია, გერასიმე მაწყვერელი, ლასურიძე-კუმურდოელი, ქერობინ ანჩელი, გერასიმე კუმურდოელი, ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი, დავით კათალიკოსი, ევაგრე კათალიკოსი.

Abstract

It is known that the church of Georgia was the symbol of the unity of the country. As we know, the unity of the church was before the unity of the country. The church has always represented the cornerstone of the country, the symbol of the national consciousness and religious values. But there was a period in the history of Georgia, when the question of disintegration of the church unity arose.

The topic of our issue is the apostasy of samtskhe church in 15-16 cc. This significant fact in the history of Georgia is less studied. There is not a lot of information concerning this subject. However, this topic is so important that it needs further scientific research. This was the reason of my interest towards the topic since religion is a determinant of our national identity, dismissal of religious unity will bring destructive results.

The task of the research is to see the reasoning-resulting link of whether the attempt of destruction of church unity was the initial reason of breaking up the country. It is also essentially important to assess the activities of certain people, their role during these events, what was their governmental views, principles and their moral features.

In my point of you,obstinate struggle of Catholicos,will be positively discussed by the people of both previous and current era.so the ability of small nation bringing together culture and self-consciousness is based on unity of religion.To my mind , the narrow national self-consciousness ensured the personality of kvarkvare and mzechabuki, they Dazzled by the desire for glory and could not understand how destroyer their politics were not only for Meskheti,but also for whole country ,these all were encouraged by foreign policy.

Keywords: Samtskhe in southern,unity of the Georgian church , Ancheli and Ishkhneli bishops, Kvarkvare Athabagi, mother church of Georgia, Gerasimos matskvereli , Lasuridze Kumurdoeli, Kerobin Anchi, Gerasimos Kumurdoeli, Patrirch of Antioch Doroteosi, David Catholicos, Evagre Cathalicos.